INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

OPD/CPT14-002

24 თებერვალი 2014 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრს,
ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი:
ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული საჩივარი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ

<u>მოთხოვნა :</u>

Institute for Development of Freedom of Information
3, Al. Griboedov Street, 0108, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 292 15 14 • info@idfi.ge
www.idfi.ge www.opendata.ge

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ალ. გრიბოედოვის ქ. № 3, თბილისი 0108, საქართველო
ტელ. +995 32 292 15 14 • info@idfi.ge
www.idfi.ge www.opendata.ge

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის“ ქსეროასლის ან ელექტრონული დოკუმენტის სახით გაცემულ იქნეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1) 2013 წელს სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;

- არ იქნა მოწოდებული თავდაპირველი მოთხოვნით გათვალისწინებული - სახელისა და გვარის მითითებით, ჩაშლილი თვეების მიხედვით;

2) 2013 წელს სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;

- არ იქნა მოწოდებული თავდაპირველი მოთხოვნით გათვალისწინებული - სახელისა და გვარის მითითებით, ჩაშლილი თვეების მიხედვით;

3) 2013 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;

- არ იქნა მოწოდებული თავდაპირველი მოთხოვნით გათვალისწინებული - სახელისა და გვარის მითითებით, შესაბამისი პერიოდის მითითებით;

4) 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით;

- არ იქნა მოწოდებული თავდაპირველი მოთხოვნით გათვალისწინებული - ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით.

5) 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;

- არ იქნა მოწოდებული, შემდეგი საფუძვლით: ,,სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვების გადაუდებელი აუცილებლობისას, შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული განცხადების №8 პუნქტში მითითებული მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) არ ხორციელდება“, - სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად „...გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რაც წერილობით უნდა შეთანხმდეს შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან...“, - შესაბამისად, აღნიშნული მიწერილობის აუცილებლობა განპირობებულია მოქმედი კანონმდებლობით;

6) სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2013 წელს გაწეული ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია (გთხოვთ მიუთითოთ შესაბამის თანამდებობის პირზე ან თანამშრომელზე დროებით მფლობელობაში გადაცემულ ავტომანქანაზე გაწეული მომსახურების სახე, თანხის ოდენობა და მომსახურების პერიოდი; ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება);

- არ იქნა მოწოდებული თავდაპირველი მოთხოვნით გათვალისწინებული - კონკრეტული ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული მომსახურების სახე, თანხის ოდენობა და მომსახურების პერიოდი; ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

7) 2013 წელს მაკონტროლებელი (როგორც შიდა უწყებრივი, ისე გარე) ორგანოების მიერ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა ნუსხა (მათი მოკლე აღწერილობის მითითებით).

- არ იქნა მოწოდებული;

8) მინისტრის და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები;

არ იქნა მოწოდებული, შემდეგი არგუმენტაციით : „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არ ინახება“,-

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სამსახურში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა. მართალია, რომ მინისტრი და მისი მოადგილეები წარმოადგენენ პრემიერ-მინისტრის ნომენკლატურას თუმცა მათ მიერ მოცემული დოკუმენტაციის ასლების მიღება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებელი უნდა იყოს მათი დაქვემდებარებული უწყებებიდან.

9) 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;

- არ იქნა მოწოდებული;

10) 2013 წელს მინისტრის აპარატის მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები; (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);

- არ იქნა მოწოდებული კლასიფიცირებული ინფორმაცია, ღონისძიების ჩატარების დროის, ღონისძიების სახელწოდების, ასევე დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით;

11) 2013 წლის აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები;

არ იქნა მოწოდებული, შემდეგი არგუმენტაციით: „შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს აუდიტს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და პარტნიორის მომართვის საფუძველზე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საზოგადოებებში. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია უარი ითქვას მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე“,-

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ჩვენთვის უცნობია ,,მიზანშეუწონლობის“ მოტივით ინფორმაციიც დახურვის რაიმე სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს რაიმე სახის იურიდიულ დასაბუთებას მისი საიდუმლოების შესახებ. ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად ,,დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, რამდენადაც მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, მისი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ნებისმიერი განმცხადებლისათვის. მოცემული წარმოადგენს ანგარიშვალდებულობისა და გამჭვირვალობის მნიშვნელოვან წინაპირობას; ხოლო თუ დაწესებულების ხელმძღვანელი მაინც უარს იტყვის ინფორმაციის მოწოდებაზე, აუცილებელია მოხდეს მისი სტრატეგიული კონტექსტისა და მიზანშეწონილობის არგუმენტაციაც.

12) 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის შემთხვევების რაოდენობა;

- არ იქნა მოწოდებული;

13) 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგად დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების ოდენობა (პასუხისმგებლობების ფორმის, სახისა და გამოყენების თარიღის მითითებით);

- არ იქნა მოწოდებული;

საჯარო ინფორმაციის გაცემა მოთხოვნილია სრულყოფილი სახით, რაც გულისხმობს ზემოთმოყვანილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულყოფილი პასუხის გაცემას, ვინაიდან ხსენებული მოთხოვნა არ შეიცავს სზაკ-ით გათვალისწინებულ საიდუმლო ინფორმაციას, ანუ ის არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს, და შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მიჩნეული არის ღია საჯარო ინფორმაციად და ექვემდებარება გაცემას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ არის კლასიფიცირებული, სრულყოფილი და ზუსტი. რამდენადაც მოთხოვნილი კლასიფიკატორები ითვალისწინებდა ჩაშლილი ინფორმაციის მოწოდებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიერ მონიტორინგისა და შეფასების განსახორციელებლად. მოწოდებული ჯამური ღირებულებები, სამუშაოების ნუსხა და შესყიდვების ნაწილი არ ქმნის საერთო სურათს ინფორმაცის შემდგომი დამუშავებისათვის. მიგვაჩნია, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ფუნქციების არაჯეროვანი შესრულების/შეუსრულებლობის ფაქტი, რაზეც დაფუძნებულია ჩვენი სამართლებრივი მოთხოვნის უფლება.

<u>გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა :</u>

2014 წლის 27 იანვარს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაეგზავნა წერილი OPD**01/14-020** (*იხ. დანართი №1* – „საჯარო ინფორმაციის მისაღებად წარდგენილი წერილობითი განცხადების ასლი“, 2 ფურცლად), რომლითაც საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, შემდგომში -

სზაკ), შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, მოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაცია.

ხსენებული წერილი (წერილობითი განცხადება - OPD**01/14-020**) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩაბარდა 2014 წლის 27 იანვარს, რაც დასტურდება კურიერის მიერ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მისაღებად წარდგენილი წერილობითი განცხადების ასლზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერით (*იხ. დანართი №1).*

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად არის აღიარებული და მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლში.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით: *„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია."* ამ უფლების მთავარი არსი - ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტიაა. თავის მხრივ, ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტიაში იგულისხმება ყველა სახის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლო საჯარო ინფორმაციას.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების მთავარი პრინციპი, სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის დაინტერესებული სუბიექტების მიერ გაცნობის შესაძლებლობაა. აღნიშნული, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების დაცვის წინაპირობაა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლში. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: *„საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას".* აღნიშნულზე დაყრდნობით მოთხოვნილი ინფორმაცია არის ადმინისტრაციულ ორგანოთა დავალდებულება, გასცენ საჯარო ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად: ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციით გაწერილ ნორმათა დაკონკრეტება ხდება სზაკ-ის საშუალებით, რომლის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტში, ტერმინ „საჯარო ინფორმაციის" დეფინიციაა მოყვანილი; კერძოდ, საჯარო ინფორმაციაა: *„ოფიციალური დოკუმენტი ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო*

დაწესებულებების ან მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია". სწორედ მოყვანილი დეფინიციისა და შესაბამისი **<u>კანონის ფარგლებში</u>** მოქმედებს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, როდესაც იგი ითხოვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან საჯარო ინფორმაციის მიღებას.

სზაკ-ის მესამე თავი მთლიანად ეთმობა ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივ ბუნებას და მისი მოწესრიგების სფეროს. ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნის სუბიექტებს წარმოადგენენ ერთი მხრივ ამავე კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე „ყველა", რაშიც როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი იგულისხმება, ხოლო მეორე მხრივ - საჯარო დაწესებულება.

საჯარო ინფორმაციის მიღება საჯარო დაწესებულებიდან შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ინფორმაცია არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს. საიდუმლო ინფორმაცია არის ინფორმაციის სახე, რომელიც კანონით დადგენილი შემთხვევების გათვალისწინებით არ წარმოადგენს ღია ინფორმაციას. უფრო კონკრეტულად, საჯარო ინფორმაცია საიდუმლოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, თუ კანონი ინფორმაციის გამხელისგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს ადგენს, შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს და აწესებს მისი გამხელისგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას. შესაბამისად, სზაკ-ზე დაყრდნობით შესაძლებელია იმ ხუთი ტიპის გამოყოფა, რომელიც საიდუმლო ინფორმაციად შეიძლება იქნეს მიჩნეული:

1) სახელმწიფო საიდუმლოება (არეგულირებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონი);
2) პერსონალური მონაცემები (არეგულირებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი);
3) კომერციული საიდუმლოება (სზაკ-ის 27^2 მუხლი);
4) პროფესიული საიდუმლოება (სზაკ-ის 27^3 მუხლი);
5) აღმასრულებელი პრივილეგიით დაცული მონაცემები (სზაკ-ის 29-ე მუხლი).

დასახელებული ხუთივე პუნქტიდან, არცერთი არ იქნა მოთხოვილი ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საჯარო დაწესებულებიდან.

შესაბამისად, მათი არაჯეროვანი შესრულება/შეუსრულებლობა/უმოქმედობა წარმოადგენს კანონმდებლობის ნორმათა დარღვევას.

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი იყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას (სზაკ-ის 177-ე მუხლი) და

ასაჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს) უმოქმედობას, რომლითაც არ იქნა განხორციელებული ჯეროვანი შესრულება. ამასთან, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ დაცულია სზაკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადა, ხოლო ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი პასუხობს სზაკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე და ასევე სზაკ-ის 37-ე, 38-ე, მე-40, და 44-ე მუხლების თანახმად, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ითხოვს, რომ:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემულ იქნეს ის საჯარო ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილ იქნა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში 2014 წლის 27 იანვარს გაგზავნილი წერილით. (*იხ. დანართი №1* – „საჯარო ინფორმაციის მისაღებად წარდგენილი წერილობითი განცხადების ასლი“, 2 ფურცლად).
<u>ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა :</u>

დანართი №1 (2 ფურცელი) – ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში 2014 წლის 27 იანვარს გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნის წერილობითი განცხადების - OPD**01/14-02**0 ასლი;

დანართი №2 (2 ფურცელი) - ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი ამონაწერი.

პატივისცემით,

ლევან ავალიშვილი

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

გამგეობის თავმჯდომარე